ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №492940

ნომერი: AR199396

თარიღი : 20.12.2012

გაცემის თარიღი : 03.01.2013

გაცნობის თარიღი : 22.08.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გ. ტაბიძე , N 10 , მერიის შენობის უკან ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ანდრო გრიგორიანი პ/ნ 01030027290
- თბილისი ო.ქინქლაძის ქ. N 10

ორგანიზაცია:
- ჯაზვე კოდი: 404411427

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 09 ნოემბრის
№426123 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიისსსიპ თბილისისარქიტექტურის სამსახურს2012 წლის 20 დეკემბერს №AR199396 ელექტრონული განცხადებით მომართამოქ. ანდრო გრიგორიანმა და მოითხოვა თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის09 ნოემბრის№426123ბრძანებით შეთანხმებულ პროექტში დაშვებული ტექნიკურიხასიათის შეცდომის გასწორება, კერძოდ, პროექტის არქიტექტორად შპს ,,NEO-A"-ს ნაცვლად – ნიკოლოზ ჩხაიძის მითითება.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის96-ე მუხლისმოთხოვნათა შესაბამისად სამსახურმა შეისწავლასაქმისათვის არსებითიმნიშვნელობის მქონეგარემოებები დადაადგინა, რომთბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის09 ნოემბრის #426123 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – მთაწმინდა) გ. ტაბიძის ქ. #10–ში, შპს ,,ჯაზვეს" საკუთრების მიწის ნაკვეთზე კაფეს არქიტექტურული პროექტი და გაიცა შესაბამისი მშენებლობის ნებართვა, რომელიც ძალაშია 2013 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით. დოკუმენტაციის შესწავლისას გაირკვა, რომ დამკვეთის მიერ წარმოდგენილ სამშენებლო დოკუმენტაციაში კერძოდ, საპროექტო ტერიტორიის გენერალურ გეგმაზე, შენობა-ნაგებობისმაქსიმალური სიმაღლისგანსაზღვრის სქემაზე, შენობა-ნაგებობისგეგმებზე, ჭრილებსადა ფასადებზეპროექტის არქიტექტორად ნიკოლოზ ჩხაიძის ნაცვლად მიეთითა შპს ,,NEO-A". ვინაიდან განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია შპს ,,NEO-A"–ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404379427) დირექტორის ნიკოლოზ ჩხაიძის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა აღნიშნულ საკითხზე (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი 121290949, 04.12.2012წ.), სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორება.

ვინაიდან საქართველოსზოგადი ადმინისტრაციულიკოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს, სამსახურსმიზანშეწონილად მიაჩნიაგანმცხადებლის მოთხოვნისდაკმაყოფილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსისVI თავის, 51-ე, 52-ე, 63-ე, 95-ე, 96-ე და მე-100 მუხლების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაკმაყოფილდეს მოქ. ანდრო გრიგორიანის 2012 წლის 20 დეკემბრის №AR199396 ელექტრონული განცხადების მოთხოვნა.
2. შევიდეს ცვლილება სამსახურის 2012 წლის 09 ნოემბრის №426123 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტში და სამშენებლო დოკუმენტაციაში არქიტექტორად შპს ,,NEO-A"-ს ნაცვლად მითითებულ იქნეს ნიკოლოზ ჩხაიძე.
3. წინამდებარე ბრძანებაგანხილული იქნასსამსახურის 2012 წლის09 ნოემბრის №426123 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლებაგასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში(მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.